ISSN 1987-5134

საბავშვო კარუსელი

ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი, წარადგინე „ბიბლუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღე წიგნი

ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი

ვაუჩერი ძალაშია
17 ივნისიდან
23 ივნისის ჩათვლით

საინტერესო
ამბავი ლამაზი
ილუსტრაციებით

~~12 ლარი~~

5.99 ლარი

შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი

23

17 ივნისი, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

ერთგული მეგობრები

ერთ პატარა, ზღაპრულ ქვეყანაში უცნაური, სასაცილო და ფუმფულა არსებები - ტელეღიპუცები ცხოვრობენ. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ ფერით კი არა, ხასიათითაც ძალიან განსხვავდებიან.

ეს შვიდი მეგობარი განუყრელად ერთადაა, განსხვავებული ხასიათის გამო, ათასგვარ ხათაბალაში ებმებიან, მაგრამ მაინც მხიარულად და ბედნიერად ცხოვრობენ, არც შენ მოიწყენ მათთან.

მოდი უფრო ახლოს გავიცნოთ ისინი.

ჯეფი (ვარდისფერი) - ყველაზე მოწესრიგებული ღიპუცაა, წესრიგი მისთვის მთავარია.

ბუმტა (ყვითელი) - კეთილი და ხალისიანია, სჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.



ნიუტი (იისფერი) - ძალიან ზრდილობიანი, მშვიდი და საყვარელია.

ცეცხლა (წითელი)- ძალიან ავი და მოჩხუბარია, სულ ვიღაცის საცემად იწევს.

წვეტა (ლურჯი) – ხითხითა და ხუმარა, სულ კარგ ხასიათზეა და სხვებსაც ამხიარულებს.

ზიი (მწვანე) - ზარმაცი და უსაქმურია, ძილი ყველაფერს ურჩევნია.

მარჯვე (ნარინჯისფერი) - ძალიან მონდომებულია და ცდილობს, უფრო სრულყოფილი გახდეს.

ხომ წაიკითხე, ვის როგორი ხასიათი აქვს?ახლა კი, გამოიცანი, ეს ფრაზები ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ამა თუ იმ ღიპუცას, დაუსვი + ან − ნიშანი.

ყველა უზრდელს მეძახის.

ყველაფერი კარგად იქნება.

რა დროს ძილია, უსაქმოდ არავინ დავინახო.

ვერ ვიტან სიცილს.

მინდა ჩემი საქციელით ყველას თავი შევაყვარო.

ერთი ღიპუცა მაგრად ვჟეჟე.

ამოიცანი სიტყვები

ჩამოთვლილთაგან, რომელი სიტყვა არ გამოვა სიტყვა სმარტფონი-ში შემავალი ასოებისგან? ასოების გამეორება შესაძლებელია.

ფისო

სოფო

მარტი

ნინო

ფოტო

ტანი

სუნი

ტორი

სიმი

მინა

გააფერადე

მოზაიკა

ამოჭერი ფრაგმენტები
და ნიმუშის მიხედვით
ააწყვე ნახატი.

მაცოცხალოვორდი

ვისწავლოთ ხატვა

მარჯვენა ნახატი დაასრულე ისე, რომ მარცხენას დაემსგავსოს, შემდეგ ორივე გააფერადე.



ჩემი პირველი ენციკლოპედია

15-დან 22 ივნისამდე ყოველ ოთხშაბათს

წიგნი 10 - ვულკანები და მიწისძვრები

შეაგროვე 16 წიგნი, 256 სტიკერი და სტიკერების დიდი წიგნი სპეციალურ ყუთში

შეაგროვე გაერთე ისწავლე

სპეციალური ყუთი

წიგნის სპეციალური ფასი 3₾

სტიკერების დიდი წიგნი

სპეციალური ყუთის, პირველი წიგნის და სტიკერების დიდი წიგნის შეძენა შესაძლებელია პრესის გავრცელების ჯიხურებში 13.99 ლარად

სერიის ყველა წიგნი

1 ძუძუმწოვრები
2 დინოზავრები
3 პლანეტა დედამიწა
4 ფრინველები
5 რეპტილიები
6 თევზები და ამფიბიები
7 მწერები და უხერხემლოები
8 ფლორა
9 ზღვები და ოკეანეები
10 ვულკანები და მიწისძვრები
11 დიდი გამოგონებები
12 მიწიერი სამოთხეები
13 მკვლევრები
14 მდინარეები და ტბები
15 მთები და ტყეები
16 გარემო

NATIONAL GEOGRAPHIC-ის ბოლო ათწლეულში დაგროვილი ფოტომასალა და ფაქტები სრულყოფილად გაგაცნობთ ჩვენი პლანეტის ფლორასა და მიწიერ სამოთხეებს, ეკოლოგიურ პრობლემებსა და მათთან გამკლავების გზებს.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგვართმევთ.

www.palitral.ge Palitra.L.Publishing

პალიტრა L

რებუსკროსვორდი „სპორტი“

ამოხსენი რებუსები და მიღებული სიტყვებით შეავსე კროსვორდი.





ლაბირინთი

ორი მგზავრი გემის კაიუტებში დაიკარგა. დაეხმარე მათ, რომ გემბანზე, ფინიშთან მივიდნენ.



იპოვე ნახატზე:

8 თაგვი

3 მძინარე მეზღვაური

3 ოქროს თევზი

ლექსები

ვისია ზიზია

ნემსი,
ძაფი,
ნაჭერი,
მაკრატელო, გაჭერი!
კაბა მინდა კვირისთვის,
გავატარე გვირისტი.
შეიკერა ზიზია,
გამოიცან, ვისია?

მაყვალა მრევლიშვილი

მუჭანახევარი

ჩვენი ჭრელი ვარია
მუდამ საძებარია,
დასაკლავად არცა ღირს, –
მუჭანახევარია.

მაყვალა მრევლიშვილი

ყიყლიყო

გადმოფრინდა რაინდი,
დაიყივლა: ყიყლიყო!
ფრთები ააფართხუნა,
გამოიცან – ვინ იყო?

მაყვალა მრევლიშვილი

ანას ჭკუა

ანამ დედა გააბრაზა,
დანაშაულს მიხვდა ანა
და დედიკოს ასარჩევად,
სამი წკეპლა მიუტანა.
– იცი, დედა, სამი ცალი
წკეპლა რატომ განახეო?
უფრო რბილი აარჩიე
და იმითი გამლახეო.

ნიკოლოზ იოსებიძე

მხიარული კუბები

იპოვე ოთხი ერთნაირი კუბი.



ფერადი თავსაცხები

„ნიკორამ“ „პატარა მხატვრების კონკურსის“ მონაწილეებს დაუვიწყარი დღე აჩუქა

„ნიკორამ“ წელსაც არ დააღვია ტრადიცია და შემოქმედებითად აქტიურ ბავშვებს სახალისო, სამხატვრო კონკურსი შესთავაზა. „პატარა მხატვრების კონკურსის“ ფარგლებში, 13 წლამდე ასაკის ბავშვებს ნიკორა უნდა დაეხატათ. ნამუშევარი „ნიკორას“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდებოდა, საუკეთესო ნახატები კი ჟურნალ „საბავშვო კარუსელში“ იბეჭდებოდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, 1 ივნისს გამარჯვებული გამოვლინდა. პირველი ადგილის მფლობელი ზუკა ბარბაქაძე გახდა, მეორე ადგილი – ინაკო გზირიშვილი-შარიქაძემ დაიკავა, მესამე ადგილზე კი ანა ნარიმანიძე გავიდა.

დაპირებისამებრ, პირველი ადგილის მფლობელს „ნიკორა“ სკოლაში, ანიმაციურ გმირებთან ერთად ესტუმრა, იქვე საჩუქარიც გადასცა და გასართობი შოუ-პროგრამა მოუწყო, ტორტზე კი, სწორედ ის ნახატი იყო გადატანილი, რომლის მეშვეობითაც ზუკამ კონკურსში გაიმარჯვა.

ზუკა ბარბაქაძე:
„საბავშვო კარუსელში“, წავიკითხე, რომ „ნიკორა“ აცხადებდა კონკურსს. დავხატე ორი ძროხა, ერთ-ერთს ნიკორა ერქვა, ცხენი, საკუთარი თავი, ჩემი დაიკო და ბებო, გავგზავნეთ ნიკორას ფეისბუქის გვერდზე და გავიმარჯვე. ძალიან გამიხარდა სკოლაში რომ მესტუმრენ გმირები. არ ვიცოდი, თუ მოსვლას აპირებდნენ, ჩემთვის სიურპრიზი იყო, კარგად ვიმხიარულე მეგობრებთან ერთად.“

„ნიკორამ“ კონკურსის ყველა მონაწილე ერთ-ერთ გასართობ კლუბში მიიწვია. ხალისიანმა ანიმატორებმა ეს დღე პატარებისთვის დაუვიწყარი გახადეს, არც მშობლები დარჩენიათ უყურადღებოდ და ისინიც ჩართეს სახალისო თამაშებში. მხატვრების კონკურსი ტორტით, ფერადი ბუშტებითა და დიდი მხიარულებით დაგვირგვინდა.

იფიქრე ლოგიკურად

რომელი ნახატით დაიწყო ჯიუტი თხების ამბავი, რომლით გაგრძელდა
და დასრულდა? დანომრე ნახატები თანმიმდევრობით.





სახალისო მათემატიკის ტესტები წიგნიდან

წაიკითხე, როგორ მუშაობს მანქანა და შეავსე ტექსტები.

შესასვლელი	ოპერატორი	გამოსასვლელი
5 →	+ 4 →	9

მანქანაში შედის 5, ოპერატორის ბრძანებით ემატება 4 (+4) და გამოდის 9.

9 → + 5 → ..... 10 → + 6 → ..... 11 → + 7 → .....

13 → + 2 → ..... 15 → + 5 → ..... 17 → + 0 → .....

შეავსე ოპერატორის ბრძანების მიხედვით.





თამაში: „ქოლგების

ამ ქოლგების დახმარებით წვიმას უნდა გაექცე და ცისარტყელასთან მიხვიდე.



თამაშში მონაწილეობს ორი ან მეტი მოთამაშე. დაგჭირდებათ კამათელი და ფანტები.

დააწყვეთ ფანტები უჯრაზე „სტარტი“ და გააგორეთ კამათელი. გადაადგილდით იმდენი უჯრით, რამდენსაც კამათელი გიჩვენებთ. გზადაგზა მითითებები შეასრულეთ. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მივა ცისარტყელასთან.

შეხიბრი“



დაბრუნდი
2 უჯრით უკან

გადადი
2 უჯრით წინ

გამოტოვე სვლა





გამოტოვე სვლა



გადადი
4 უჯრით წინ

გამოტოვე სვლა

ნიჟარები და მათი

ერთხელ მაინც თუ გაგივლიათ ზღვის სანაპიროზე, აუცილებლად შეამჩნევდით ტალღების მიერ გამორიყულ, სილაზე მიმობნეულ ნიჟარებს. მათ სხვადასხვა ფერი და ფორმა აქვთ, ზოგი სპირალისებურად არის დახვეული, ზოგი ბრტყელია, ზოგს შავი ფერი აქვს, ზოგი კი ნაირნაირი ფერით იწონებს თავს. სხვათა შორის, ზღვის გარდა ნიჟარები შეიძლება ტყეშიც ნახოთ, მინდორშიც და ტბისა თუ მდინარეების ნაპირებზეც. ნიჟარაზე არსებული ამობურცული რგოლებით მისი ასაკის განსაზღვრა შეიძლება, – თითოეული რგოლი ერთ წელიწადს უდრის.

ნიჟარებისგან უამრავი ნივთს ამზადებენ: საყურეებსა და გულსაბნევებს, სათამაშოებს, სავარცხლებსა და ყელსაბამებს. ნიჟარის შიგნითა მხარე ძალიან ნაზი და ლამაზია, მას სადაფს ეძახიან. შედარებით მსხვილკედლიანი ნიჟარის სადაფზე ნებისმიერი სურათის ამოკვეთა შეიძლება. ასეთ ნაკეთობას კამეას უწოდებენ. მისი დამზადება ძალიან ძნელია და ამიტომ საკმაოდ ძვირი ღირს.

ბინაადრეები

ფორმისა და ფერის გარდა, ნიჟარები ერთ-მანეთისგან ზომითაც განსხვავდებიან. არსებობს ნიჟარები, რომელთაც გამადიდებელი შუშით თუ დაინახავ, ზოგი ნიჟარა კი პირიქით, ძალიან დიდი ზომისაა. ნიჟარით ზღვის „სიმღერის“ (ზღვის ხმაურის) მოსმენაც შეიძლება. კუნძულებზე მცხოვრები, ზოგიერთი ტომი კი მას მუსი-კალურ ინსტრუმენტად იყენებს.





ნაპირებზე გამორიყული თუ ტყეებსა და მდელოებზე ნანახი ნიჟარები თითქმის ყოველთვის ცარიელია – ის ზღვის თუ ხმელეთის ზოგიერ-თი ცხოველის ყოფილი სახლია. ასეთ ცხოველებს რბილი, უფრო ხშირად უძვლო სხეული აქვთ და მაგარი ნიჟარა მათ თავშესაფარს წარმოადგენს. ამ ცხოველებს მოლუსკებს ეძახიან. მოლუსკია ჩვეულებრივი ლოკოკინაც – სწორედ ის, საკუთარი სახლი თან რომ დააქვს.



ზოგიერთი ზღვის მოლუსკი, რომელთაც მომრგვალებული ნიჟარა აქვთ, 15-20 კგ-ს იწო-ნის. პატარა ზომის, შავი ფერის ნიჟარებიან მოლუსკებს კი შავი ზღვის სანაპიროზეც ნახავთ. ისინი ხშირად ხიდის ბურჯებს, ზვირთსაცემების კედლებს ეკვრიან და მთელ ცხოვრებას უმოძ-რაოდ, ერთ ადგილზე მიკრულები ატარებენ. ზოგჯერ, ნიჟარას საცხოვრებლად სხვა ცხოველები, მაგალითად, განდეგილი კიბოე-ბი იყენებენ. საინტერესოა ისიც, რომ არსებობენ ძვირფასი ქვის – მარგალიტის ნიჟარები. როცა ამ ნიჟარას გახსნით, მის შიგნით თეთრი ან იშვიათად, შავი მარგალიტიც შეიძლება ნახოთ. ახლა კი, ისეთ რამეს გეტყვით, რომ აუცილებლად გაგიკვირდებათ – ბევრ ქვეყანაში მოლუსკებს საკვებად იყენებენ (ხარშავენ ან წვავენ), ასეთ მოლუსკებს სპეციალურად ამრავლებენ.

სარკე

თარგმნა თამარ გეგეჭკორმა

ძალიან დიდი ხნის წინათ, შორეულ სოფლებში, არავინ იცოდა, რა იყო სარკე, არავის ენახა იგი, მხოლოდ მსხვილ ქალაქებში თუ იყიდდა კაცი. ერთხელ, სოფლის ვაჭარს ქალაქში მოუხდა გამგზავრება, ბაზარში სარკე ნახა,

ძალიან მოეწონა და იყიდა. არავის უმხელდა, თუ რა საოცრება იყიდა. ახდიდა ხოლმე კიდობანს თავს და სარკეში იყურებოდა, მოსწონდა სარკეში ცქერა.

ცოლმა შენიშნა, რომ ქმარი კიდობანში საათობით იცქირებოდა, დაინტერესდა და გადაწყვიტა, ენახა, რას მალავდა.

როცა ვაჭარი შინ არ იყო, ცოლმა კიდობანს სახურავი ახადა და შიგ ჩაიხედა, იქიდან ლამაზი ქალი უყურებდა, ატირდა, თავში წაიშინა ხელები:

– ჩემს ქმარს ქალაქიდან ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი ჩამოუყვანია, ალბათ მე მალე სახლიდან გამაგდებსო.

ვაჭრის დედამ რძლის ტირილი გაიგონა, თვითონაც ჩაიხედა კიდობანში და იქ მოხუცი ქალი დაინახა.

– ჩემმა შვილმა ქალაქიდან სხვა დედა ჩამოიყვანა, ახლა, ალბათ, ჩემი ცნობაც აღარ მოუნდებაო! – ატირდა მოხუცი.

ტირილზე მოხუცი მამა მოვარდა. ქალებმა ცრემლების ფრქვევით უამბეს ყველაფერი. მამამ კიდობანში ჩაიხედა და შეჰყვირა:


– სად ნახეთ აქ ახალი ცოლი ან დედა! ჩემს შვილს ქალაქიდან ახალი ბერიკაცი ჩამოუყვანია და იმას მალავსო! – და ის, მწარედ ატირდა.

უცებ, ოთახში პატარა ბიჭუნამ, ვაჭრის შვილმა შემოირბინა, ერთ ხელში ქვა ეჭირა, მეორეში – კანფეტი. ხედავს, თავახდილ კიდობანთან სხედან დედა, ბებია და ბაბუა და ცხარე ცრემლით სტირიან. მიირბინა ბიჭუნამ კიდობანთან და შიგ ჩაიხედა.

ხედავს, ვიღაც ბიჭს ხელში კანფეტი უჭირავს და ურცხვად შესცქერის.
– ოჰ, შე საძაგელო, ჩემი კანფეტი მოიპარე, არა? ახლავე გიჩვენებ სეირსო, – დაიძახა ბიჭუნამ და სარკეს ქვა ესროლა.

სარკე წვრილ ნამსხვრევებად იქცა. შინ დაბრუნებული ვაჭარი ძალიან გაბრაზდა, მაგრამ რაღას იზამდა. ყველაფერი ხომ მისი ბრალი იყო, თავიდანვე რომ გაემხილა, რაც იყიდა, სარკე მთელი შერჩებოდა.

ყურადღება

ყველა არსებას თავისი მეორე ნახევარი უპოვე.

შეაერთე წყვეტილი ხაზები.



პოეზიისთვის

რომელია ყველაზე პატარა ბუშტი? გააფერადე ის წითლად.

ბუშტი, რომელიც თაგუნიას უჭირავს, კოპლებით გააფორმე.

ყველაზე დიდი ბუშტი ლურჯად გააფერადე.

ერთი ბუშტი ყველასგან განსხვავდება ზომით. იპოვე ის და ყვითლად გააფერადე.

რამდენი წრის ფორმის ბუშტია? ყველა მათგანი კოპლებით მორთე.

რამდენი ბუშტი დარჩა გასაფერადებელი?

ბაფერილა

რა წავიკითხოთ ზაფხულში?

15 საუკეთესო წიგნი 5-8 წლის ბავშვებისთვის.







თხზულებები:

1. ამბები გოგონებისთვის – ცნობილი მწერლების თხზულებების კრებულია, რომელიც გოგონებისთვის საინტერესო თემატიკით არის წარმოდგენილი;

2. ამბები ბიჭებისთვის – იმავე ფორმატის, ოღონდ ბიჭისთვის საინტერესო თემაზე შერჩეული თხზულებებით;

3. საზღაპრეთი – ზღაპრების კრებული;

4. ძმები გრიმების ზღაპრები;

5. ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრები;

6. 25 ჯადოსნური ზღაპარი;

7. პატარა უფლისწული – ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის უკვდავი ნაწარმოები საინტერესო ილუსტრაციებით;

8. ჩემი პირველი ბიბლია – ძველი და ახალი აღთქმა ბავშვისთვის გასაგები ენითა და ილუსტრაციებით;

9. თოვლის გუნდა მეგობარს ეძებს – ცნობილი მულტპერსონაჟის ახალ-ახალი თავგადასავლები;

10. თოვლის შვილიშვილი – გუნდას ფორმის წიგნი საინტერესო ამბით;

11. თოვლის გუნდა ცირკში – წიგნს ამბისა და ფერადი ილუსტრაციების გარდა, თან ახლავს ასაწყობი ფაზლები;

12. WINX-კლუბის წიგნები – ცნობილი მულტგმირების თავგადასავლები და სტიკერებიანი გასაფერადებლები ქართულ ენაზე. ვინქს კლუბის სერია 6 წიგნად არის წარმოდგენილი.



შემეცნებითი გამოცემები:

13. მათემატიკის პრაქტიკული სავარჯიშოები 1-2 კლასისთვის – გონების სავარჯიშო ტესტები ნახატებით ნამდვილად არ მისცემს ბავშვის გონებას ზაფხულში მოდუნების საშუალებას;

14. ჩემი პირველი კითხვების და პასუხების წიგნი – ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი წიგნი ქართულ ბაზარზე, სადაც ენციკლოპედიური მასალები ძალიან მარტივი ენითა და ილუსტრაციებით არის წარმოდგენილი;

15. ჩემი პირველი კითხვების წიგნი ცხოველებზე – ცხოველებით დაინტერესებულ ბავშვს, პრაქტიკულად, აღარ რჩება კითხვები მათ შესახებ.

შეამოწმე შენი ცოდნა

1. რას ვიწყებთ ასე: „ენკი, ბენკი, სიკლისა“?

ა ზღაპარს

ბ ლექსს

გ გათვლას

2. ბუნების რომელმა მოვლენამ შეიძლება წაგვაძროს ქუდი?

ა ქარმა

ბ წვიმამ

გ თოვლმა

3. რა ფერის ნიშანი იძლევა ქუჩაზე გადასვლის ნებას?

ა წითელი

ბ ყვითელი

გ მწვანე

4. წუნას და წრუწუნას ერთად 8 ფეხი და 2 კუდი აქვთ, რამდენი თვალი აქვთ ორივეს?

ა 4

ბ 8

გ 2

5. რომელ ცხოველს აქვს თავი და გული დიდი მანძილით დაშორებული?

ა ცხენს

ბ ჟირაფს

გ ზებრას

6. რომელი ჰგავს ფორმით ოთხკუთხედს?

ა უთო

ბ ჩაიდანი

გ ტელევიზორი

7. რომელი არ არის ქართული საჭმელი?

ა საცივი

ბ ხაჭაპური

გ პიცა

8. რომელი ნათქვამი ნიშნავს „დაგვღალა“?

ა ტვინი წაიღო

ბ ქადაგად დავარდა

გ ენად გაიკრიფა

ტესტი

რამდენად კარგად იცნობ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს?

რომელმა მხატვარმა დახატა ცნობილი ნახატი „მეეზოვე“?
ა) ნიკო ფიროსმანმა;
ბ) ელენე ახვლედიანმა;
გ) ლადო გუდიაშვილმა.

ილია ჭავჭავაძე იყო:
ა) მწერალი;
ბ) მოქანდაკე;
გ) კომპოზიტორი.

იაკობ გოგებაშვილმა დაწერა:
ა) დედა ენა;
ბ) სიბრძნე სიცრუისა;
გ) ნაცარქექია.

რომელმა საზოგადო მოღვაწემ შემოუნახა საქართველოს ეროვნული საგანძური?
ა) ექვთიმე თაყაიშვილმა;
ბ) იაკობ ნიკოლაძემ;
გ) ივანე ჯავახიშვილმა.

ვისი სახელობისაა მოზარდ მაყურებელთა თეატრი?
ა) ნოდარ დუმბაძის;
ბ) კოტე მარჯანიშვილის;
გ) შოთა რუსთაველის.

თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:
შენ კარგად იცნობ ჩვენი სამშობლოს საზოგადო მოღვაწეებს, ეტყობა, ბევრს კითხულობ, გიყვარს ისტორია.

ბ ვარიანტი:
ბევრი რამ კი გსმენია საზოგადო მოღვაწეებზე, მაგრამ რაღაცები კიდევ უნდა ისწავლო.

გ ვარიანტი:
რატომღაც, არ დაინტერესებულხარ ჩვენი ქვეყნის ისტორიით. გეტყობა, კითხვა არ გიყვარს. კარგი იქნება, თუ წიგნებს ჩაუღრმავდები, მერწმუნე, ძალიან ისიამოვნებ.

მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდსში“ გასართობად მისული პატარების დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატები ჩვენს ჟურნალში მოხვდება.

ლუკა ღამბაშიძე, 7 წლის

მარიამ გურიელიძე, 6 წლის

ანდრია ზათიაშვილი, 6 წლის

ანა კაპანაძე, 6 წლის

ნიკოლოზ ჭელიძე, 5 წლის

ნატალია ცეკვაშვილი, 7 წლის

სოფიკო კალაძე, 5 წლის

დავით სიგუა, 6 წლის

ანდრია სირბილაძე, 6 წლის

ნატალია ქალიაშვილი, 7 წლის

სალომე ნარიმანიძე, 7 წლის

№23-ის პასუხები

გვ. 6. მატარებელვორდი:
1. პანდა; 2. დათვი; 3. ვინი; 4. ნიანგი; 5. გირჩა; 6. ჩანგალი; 7. ლილო; 8. ლომი; 9. მიკი; 10. კიტრი; 11. იხვი; 12. ვირი.

გვ. 8. რებუსვორდი „სპორტი“::
1. ფეხბურთი; 2. ჭიდაობა; 3. ჭადრაკი; 4. ცურვა; 5. კალათბურთი; 6. რაგბი; 7. ფარიკაობა; 8. კრივი; 9. ჰოკეი.

გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:
1-გ; 2-ა; 3-გ; 4-ა; 5-ბ; 6-გ; 7-გ; 8-ა.

გვ. 30 სკანვორდი:
1. ველოსიპედი; 2. სელაპი; 3. კარატე; 4. პეპელა; 5. კოტე; 6. ეკლესია; 7. ბუკეტი; 8. სკა; 9. მზე; 10. მამალი; 11. კატა; 12. ადრე; 13. ალადინი; 14. რაში; 15. რძე.

ელიბეჭდა სგპპპა კოლორში

ალიგრაფიის ცხელი ხაზი:
(995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
ვისავარჯიშ:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №23 (588)

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან საველეფოსტო მეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

სკანვორდი

1
2
3
4
ქართული ფილმი „ქეთო და ...
5
6
ტაძარი, სამლო-ცველო
7
თაიგული, ანუ ...
8
9
10
11
12
„... ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“
13
14
ზღაპრული ცხენი
15
რასაც ძრობა გვაძლევს

ჭკვიანი საათები

ჩამოთვლილი დროის მონაკვეთებიდან რომელია ყველაზე მოკლე? რომელი გრძელდება ყველაზე დიდხანს?

საათები ერთმანეთთან ფანქრით დააკავშირე ხანგრძლივობის მიხედვით. ვიწყებთ ყველაზე მცირე მონაკვეთით.

თოვლის გუნდა და მისი მეგობრები
თქვენთან შესახვედრად ემზადებიან!

„თოვლის გუნდა ექსკურსიაზე“
წიგნი 10

20 ივნისიდან

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.
პალიტრა L www.palitral.ge Palitra.L.Publishing

გამომცემლობა პალიტრა L-ის წიგნები

გვ. რაოდ.: 512
ფორმატი: 17.5x22.5
ყდა: ფლექსი

ეზოპეს 200 იგავი



ეს იგავ-არაკები ყველა დროისა და ქვეყნის ბავშვებს მოუსმენიათ. შეუერთდით მათ და წაიკითხეთ საინტერესოდ მოთხრობილი ბრძნული ისტორიები. ისინი შესანიშნავი ილუსტრაციებითაა გაცოცხლებული და მთავრდება ისეთი რჩევა-დარიგებებით, თქვენ რომ გამოგადგებათ. მაშ, გადაშალეთ წიგნი და კითხვას შეუდექით!

ფასი 22.99 ლარი

გვ. რაოდ.: 512
ფორმატი: 17.5x22.5
ყდა: ფლექსი

ცოდნის სამყარო



ამ წიგნში თავმოყრილია საინტერესო ცნობები, ილუსტრაციები, ფაქტები, ახალი ინფორმაცია, მსოფლიო რეკორდები, მდიდარი ფოტოარქივი. გაიგეთ, როგორ ყალიბდება ვარსკვლავები, რამ გამოიწვია რომის იმპერიის დაცემა, როგორ წარმოიქმნება ცუნამი და რატომ გადაშენდა ცხოველთა სამყაროს ესა თუ ის სახეობა.

ფასი 22.99 ლარი

გვ. რაოდ.: 512
ფორმატი: 17.5x22.5
ყდა: ფლექსი

50 პრინცესის ზღაპარი



კლასიკად ქცეული ამბებისა და ცნობილი ზღაპრების საოცარი კრებულით გაეცნობი პრინცესების მომაჯადოებელ სამყაროს. ლამაზი ილუსტრაციები თითქოს აცოცხლებენ განსაცდელში ჩავარდნილ მამაც გმირებს და ამ წიგნს ნამდვილ საგანძურად აქცევენ.

ფასი 18.99 ლარი

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ. www. palitral.ge Palitra.L.Publishing